პროლეტარებო ეგვლა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
წაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი კანცელარია
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლეტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩვერვონეცებით ნომპარელის სტრიქონი. სამკლოვიანი განცხადება 4 მან. ჩერვონეცებით.

დღიური

რეიხსტაგმა უნდოგლობა გამოუცხადა ბერლინის მთავრობას, რომელიც უკვე გადადგა.

პოლონეთში მოხალოდნელია მოკავშირეთა ... მართლოე დაამტკიცა დადგენილება ზოგიერთ პროფკავშირებს დახურვის შესახებ.

ბულგარეთის პარლამენტის არჩევნებში კომუნისტების და გლეხთა პარტიის ბლოკმა მიიღო 39 ადგილი.

შტრეზემანმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ გერმანიამ გაღატაკების და გაჭირვების ხაზღვარს მიაღწია.

№ 272 კვირა, 25 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1,000,000 მან. № 272

ახალი ბრძოლების სამზადისში

გერმანიის ამბებში ორი მთავარი ფაქტი იპყრობს დღეს ჩვენს ყურადღებას: 1) რეიხსტაგის უმრავლესობის მიერ უნდობლობის გამოცხადება შტრეზემანისადმი და ამ უკანასკნელის გადადგომა; 2) გენერალ სეტტის ბრძანება კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ.

შტრეზემანმა ვერ მოახერხა ქვეყნის მეურნეობის ნგრევის და ფინანსიური კრახის აცილება; პირიქით, გერმანია მის დროს სრული ეკონომიური კატასტროფის უფსკრულში გადაიჩეხა.

მან ხელი შეუწყო ფაშისტური დიქტატურის „შვიდთვიანი“ დამყარებას მთელ გერმანიაში. სიხლში იქნა ჩაურჩობილი ჰამბურგის მუშების აჯანყება, დამობილ იქნენ წითელი საქსონია და ტიურინგია, ამავე დროს ხელუხლებელი დარჩა ფაშისტური ბავარია.

აძლევდა რა მოქმედების სრულ თავისუფლებას მემარჯვენე ორგანიზაციებს, შტრეზემანის კაბინეტი სასტიკად სდევნიდა კომპარტიას და რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მანვე გააუქმა 8 საათის სამუშაო დღე, მრეწველების მოთხოვნით.

შტრეზემანის პოლიტიკის წყალობით, გერმანია შინაგანი დანაწილების უშუალო საფრთხის წინაშე დადგა; კერძოდ ბავარია ფაქტიურად სავსებით დამოუკიდებლად გრძნობს თავს.

რეინლანდი მოწყდა გერმანიას და ის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოცხადდა. შტრეზემანი უძლური გამოდგა ამის ასაცილებლად.

ამასთან საკითხი რეპარაციების, საფრანგეთთან დამოკიდებულების უფრო გამწვავდა

შტრეზემანის მდგომარეობა საბოლოოდ შეირყა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მის წინააღმდეგ გაიღაშქრეს სოციალ-დემოკრატებმაც... ამ პოლიტიკისათვის, რომლის ხელის შემწყობნი და აქტიური გამტარებელნი თვითონ იქნენ. ამისათვის კიდეც ამხილა აწ უკვე ყოფილმა კანცლერმა სოციალ-დემოკრატები და განაცხადა, რომ „ნინი მთავრობაში მხარს უჭერდენ ყველა მის ნაბიჯებს.

გერმანელი მეწეველიები, მასიდან გარიყვის შიშით, იძულებული გახდნენ გამოსულიყვნენ მთავრობიდან და ეხლა უნდობლობა გამოეცხადებიათ მისთვის.

მაგრამ მათი ეს „ოპოზიცია“ ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

შესაძლებელია შესდგეს კოალიცია ცენტრისა, დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან. არსებითად ეს იქნება ისეთივე მთავრობა, როგორიც იყო შტრეზემანის კაბინეტი. ყოველ შემთხვევაში, მეწეველიებისაგან რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიით შეზავებულ მოღალატეობის გარდა აწიც არაფერია მოსალოდნელი.

როგორადაც არ უნდა იყოს შეთითხნილი მომავალი მთავრობა „პარლამენტარული“, „კონსტიტუციური“ გზით, მას ახლო მომავლში უფრო საშინელი კრიზისი დაატყდება თავზე.

შტრეზემანმა სამართლიანად განაცხადა, რომ სამე ეხება არა მთავრობის, არამედ პარლამენტარულ კრიზისს.

დიაღ, პარლამენტარულმა რეჟიმმა მოკვამა თავისი დრო და მისი გადარჩენა არავითარ ძალას არ შეუძლია.

საკითხი ძალაუფლების შესახებ გადაწყდება არა პარლამენტარული კომბინაციებით, არამედ ქუჩაში, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებით მებრძოლ კლასთა შორის.

დღეს ფაქტიურად ძალაუფლება უკავია არა რეიხსტაგს და მის მთავრობას, არამედ მათ უკან მდგომ გენერალ სეტტს, რომელიც ხელსაყრელ პირობებს დადებითი და სისტემატიური მუშაობისათვის აგიტაციო-პროპაგანდის დარგში. ამიტომ არის, რომ როგორც რუსეთში, ისე აქ წამოყენებულია საკითხი **პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებისა**, რისთვისაც იწყება უფრო სისტემატიური მუშაობა.

თუ რამოდენიმე წლის წინეთ აგიტაციის საკითხები იდგენ წინ, ეხლა მათი ადგილი დაიკავა **პროპაგანდის** საკითხებმა.

ეხლა საშუალო მუშა არ კმაყოფილდება ზერელე აგიტაციით. მას უნდა უფრო მეტი ღრმა გაგება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა.

პროპაგანდის დარგში ბევრი ნაბიჯები იყო გადადგმული დღემდის, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მხრივ ჩვენ **ორგანიზაციულ პერიოდს გაშორებული არ ვიყავით**. ამას მოწმობს საბჭოთა პარტიული სკოლების (უკანასკნელ დრომდის) და აგრეთვე პოლიტწრეების, პოლიტსკოლების და სხვ. მდგომარეობა. მათ ჯერიანი ყურადღება ვერ ექცეოდა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში მოხდა შესაჩნევი გარდატეხა ამ მხრივ. **პოლიტცოდნის გადასინჯვა**, ე. ი. აღრიცხვა იმის, თუ რამდენი უცოდინარი გვყავს პარტიაში—აი რა იქნა დასახული მიზნათ. აქ უკვე იწყება მეორე პერიოდი, **პერიოდი უფრო ზედმიწევნითი და გეგმიანი მუშაობისა**. ამ აღრიცხვის შედეგების მიხედვით უნდა შემუშავდეს გეგმა პოლიტუცოდნაორობის სისტემატიური ლიკვიდაციისა. ჯერ კი პოლიტცოდნის გადასინჯვა არ დამთავრებულა.

წინეთ ასეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ამა თუ იმ ადგილას არსდება პოლიტწრე, ინიშნება ხელმძღვანელი და ამით ყველაფერი მოთავებულათ ითვლებოდა, ხელმძღვანელი კი სისტემატიურ მუშაობას არ აწარმოებდა. დაუდგენრობა ემჩნეოდა აგრეთვე პოლიტწრის წევრებს. ბოლოს და ბოლოს საქმე თავდებოდა იმით, რომ პოლიტწრე იხურებოდა, ან და ქალაქდზე ირიცხებოდა პოლიტწრეების საერთო სიაში. ასეთ მუშაობას **უმეტეს შემთხვევაში** არავითარი ნაყოფი არ მოეტანა. ამას სამუდამოთ საზღვარი უკდა დაედვას. უმჯობესია შეეკმნათ **მცირე რიცხვი** პოლიტსკოლებისა, ბაგრამ **უფრო მაღალი ხარისხის**. ამბ. ლენინის ლოზუნგი: უმჯობესია ცოტა და კარგი, ჩვენ ცხოვრებაში უნდა გავატაროთ. თუ გვყავს ერთი კარგი ხელმძღვანელი—უნდა შეიქმნას ერთი პოლიტსკოლა და მუშაობა ნაყოფიერათ დაგვირგვინდეს. ამის შემდეგ უნდა დაარსდეს მეორე სკოლა და **ახე ამ გზით, გეგმის გზით** წავიდეთ პოლიტუცოდნაორობის ლიკვიდაციისაკენ.

უნდა იქნას წინასწარ გამომუშავებული, თუ რამდენი ხნის განმავლობაში, რამდენმა წევრმა პარტიისა უნდა გაიაროს პოლიტცოდნის სკოლა. აქ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელმძღვანელი ძალების და რესსურსების მოსადგენია, რომ მომავალი ექიმი რეცეპტურის შესწავლისაგან განთავისუფლოთ? ყოველად შეუძლებელია. ჩვენ გვესმის უნივერსიტეტის და მეცნიერების პროლეტარიზაცია. ჩვენ გვესმის, რომ საუკუნეთა განმავლობაში ბნელეთით შემოსარტყლული კლასი უნდა ეზიაროს მეცნიერებას და ამისათვის, ვინაიდან მას არ შეუძლია ერთბაშად აიწოროს მეცნიერებამდი, თვით მეცნიერება უნდა დაიწიოს მისკენ, დაუახლოვდეს მას. ეს ჩვენ კარგად გვესმის და ამ ნიადაგზე გარკვეულად შესდგა უნივერსიტეტის მეცნიერება. ამბ. ხაჭაპურიძეს, როგორც სჩანს, მეცნიერების ჰრ ლეტარიზაცია სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია, ე. ი. როგორც მისი გალარობება და გაღატაკება.

ამბ ხაჭაპურიძე ეხება მეორეს მხრივ მარქსისტულ და კომუნისტურ განგლენის გაძლიერებას უმაღლეს სკოლაში. ჩვენ ეს გამორკვეულ და უდაო საკითხად მიგვაჩნია და მისი საერთო ფრაზებში გაზმეორება არაფრის თქმას უდრის, საჭირო იყო **იმ გზების ჩვენება**, როგორც უნდა განხორციელდეს ეს დებულება. ამ მხრივ სტუდენტთა კომუჯრედის ერთი სხდომა ათჯერ და ასჯერ მეტი ღირებულებისაა, ვიდრე ამბ. ხაჭაპურიძის ქრონიკულად ქცეული პითიასებური ამოძახილება. დეკლამაციის და დეკლარაციის დრო მოვსულიმეთ კარგა ხანია. ეხლა საქმის დროა და თუ აზრს კონკრეტული ღირებულება არ აქვს, იგი უნდა უარ ვყოთ. სტუდენტების კომუჯრედმა და უნივერსიტეტის უკვე განხორციელებულმა რეორგანიზაციამ მიაღწია იმას, რის მოწმეც იყო ექვს ოქტომბრის გრანდიოზულ ჰიტინგზე უნივერსიტეტში ამბ. სერგო ორჯონიკიძე. უნივერსიტეტის ყველა ორგანოებში სტუდენტობას გარკვეული პარტიული წარმომადგენლობა ჰყავს და ყველა საკითხი მათი უშუალო მონაწილეობით სწყდება. უნივერსიტეტის კათედრებზე საბჭოთა მუშაობისათვის დატოვებულია მთელი რიგი ნიჭიერ ახალგაზრდობისა, რომელთაც საშუალება აქვთ დარწმუნდენ იმ დიდ ყურადღებაში, რომლითაც მათ ხელს აწვდიან მეცნიერების წარმომადგენლნი. უნივერსიტეტის მთელი საგარეო დამოკიდებულება კომუჯრედის ხაზით მიდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებულად ასეთია საქმე და სინამდვილე, და ამ თვალსაზრისით განხილული ამბ. ხაჭაპურიძის საერთო მოსაზრებები და ზოგადი ფრაზები საშინელ ანაქრონიზმს წარმოადგენენ. ამბ. ხაჭაპურიძის წერილს დაეგვიანდა ერთი წელი მაინც, რაც რევოლიუციის პირობებში საუკუნეს უდრის.

გავითვალოთ. ამბ. ხაჭაპურიძემ სპეციალობათ აიღო უმაღლეს სასწავლებლებზე საერთოთ ტ კერძოდ უნივერსიტეტზე წერა, მაგრამ უშედეგოთ.

უნივერსიტეტი უკვე შესდგა რეორგანიზაციის გზაზე და ამდენადვე **წინ მიდის**.

ამბ. ხაჭაპურიძის წერილებსა და უნივერსიტეტის წინსვლის შუა კავშირი არ არსებობს.

პროფ. ზ. ნუცუბიძე.

ფრანსუა ხომერიკეგის „მოლვაწეობა“

ფრანსუა ხომერიკი—ეს იგივე ნოე ხომერიკია, ერთი ბელადთაგანი ყოფილ მეწეველიკური პარტიისა საქართველოში. როგორც მკითხველებმა იციან, მას ხელი დაადო ჩვენმა ჩეკამ და დღეს ის მოსვენებულია ერთ-ერთ მის კლიტულ“ში. ამბ. ბერიასთან საუბარიდან სჩანს, რომ დაპატიმრებულს აღმოაჩნდა შფერიანი მიწერ-მოწერა მის საზღვარგარეთ მყოფ მეგობრებთან. ამ მასალიდან საინტერესოა წერილის ასლი, მის მიერ გაგზავნილი, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით: „ფრანსუა“. ჩვენი „ფრანსუა“ ატყობინებს თავის უცხოელ კოლეგებს, რომ საქართველოში მოხდება აჯანყება. მოითხოვს მათგან იარაღს ამ აჯანყებისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „რუსეთი დასძრავს ჯარს“, მას იმედი აქვს პოლონეთის. „ნუ თუ პოლონეთი დემონსტრაციას მაინც არ მოახდენს“-ო, სწერს ის.

როდესაც ჩვენ ვსწერდით, რომ საქართველოს მეწეველიკი— ეორდანია ხომერიკების მომდევრები—აწყობენ აჯანყებას, მოაქვთ უცხოეთიდან იარაღი ამ მიზნით და ცდილობენ მოხერხებულ შემთხვევაში გამოიწვიონ იმპერიალისტური სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენცია ჩვენი რესპუბლიკის შინაურ საქმეებში—თქო—ეს ერთ დროს გადამტკიცებულათ ეჩვენებოდა ზოგიერთებს. ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიგვეთითებია რამოდენიმე ფაქტებზე ამ ავანტიურისტების ასეთი მოღვაწეობიდან. ჩვენ არა ერთ ხელ გვქონია შემთხვევა აღგვინიშნა ამ ვაჟბატონების მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. ამ მიზნით, რომ მათი დახმარებით შიგნით და ინტერვენციის საშუალებით გარედან, მოეხდინათ არეულობა შეცდომაში შეეყვანილ გულუბრყვილოთა მონაწილეობით თავიანთი და იმპერიალისტების ბატონობის აღსადგენად საქართველოს მუშებზე და გლეხებზე. დღესაც კიდევ, ერთხელ და ზედმეტათ საქართველოს მშრომელ ხალხს ეძლევა საშუალება დარწმუნდეს ნმაში, თუ რა სისხლისღვრას, რა არეულობას უწმადებდნენ საქართველოს ეს გამეცმლები და მოღალატენი მუშათა კლასის. ისინი ამართლებდენ ყოველნაირ გზას და ყოველ საშუალებას თავიანთი მიზნის მისაღწევად. ხალხის სასიცოცხლო ინტერესები და მათი ავანტიურისტული მიზნები შეიჭნენ შეუერიგებლად დაპირისპირებული. ჩვენმა ხალხმაც თავისი დასკვნა გააკეთა ამ დაპირისპირებიდან, მან მტკიცე ხელით ამოშალა საქართველოს (და მთელი კავშირის) სინამდვილიდან მათი არსებობა და თვით ხსენებაც კი. მეწეველიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ, მას შემდეგ, რაც რამოდენიმე ეთეულს გარდა, ძველი ავანტიურისტებიდან და დატყუებულ ახალგაზრდებიდან, მთელმა მეშურ-გლეხურმა მასამ ჩაჰქოლა ძველი პარტია, დაკბმა საბოლოოთ ავანტიურიზმი ამის შემდეგ მეწეველიკური „ცეკას“ „ბეეუდი“ ხელში შერჩა „ფრანსუა“ ხომერიკსა და ს�ეთ დევდარიანს. ეს „მოგიკანებიც“ ჩაბარდა ჩეკას და ეგრედ წოდებული მენშევიკური „ცეკა“ წარმოადგენს დღეს ცარიელ ადგილს.

„დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“.

კარგი სიტყვით არ მოიგონებს მათ ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დიდი მიზნები.

მეთვალყურე.

ნოე ხომერიკის და ს. დევდარიანის დაპატიმრეგის გამო

(საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ბერიასთან საუბრიდან)

წარსულში ყველაზე დიდი და გავლენიანი პოლიტიკური პარტია საქართველოში—მენშევიკური პარტია საბოლოოთ გაიხრწნა.

მას შემდეგ, რაც პარტიის საუკეთესო ელემენტებმა დასტოვეს მისი რიგები, დარწმუნდენ რა თავიანთ ბელადების გამეცმლობაში, და შეუერთდენ მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს, პარტიისაგან დარჩა მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იღებს კონტრ-რევოლიუციონურ ფაშისტურ ხასიათს. ტიპიურ პროფესიონალურ ავანტიურისტების (ბანდიტების და მკვლელების) კი ჯგუფი ყოველ ძალღონეს ხმარობს, თუმცა უშედეგოდ, ხელი შეუშალოს საბჭოთა ხელისუფლებას, აფერხებს რა მის შემოქმედებით (აღმშენებლობით) მუშაობას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მენშევიკების ყველასათვის ცნობილი თვალთმაქცობა ერთხელ კიდევ დადასტურდა. **სიტყვით** უარყოფენ რა ყოველგვარ კავშირს ბანდიტებთან და მკვლელებთანან, უარყოფენ რა ყოველგვარ **აზრს** შეიარაღებულ ავანტიურის შესახებ, მენშევიკებს საქმით მჭიდრო კავშირი აქვთ ბანდიტებთან, [illegible] ყველ და იყენებენ მათ თავიანთ კოტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში.

დაჭკარგეს რა ყოველგვარი გავლენა მუშებსა და მშრომელ მასებში, მენშევიკებს სურთ იარაღის საშუალებით მოიპოვონ გავლენა.

საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებაშია მრავალი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ მენშევიკების კავშირს ბანდიტებთან, ბანდიტის ორგანიზაციას, ჯაშუშობას ტ განზრახვას მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს საგანგებო კომისიამ უკანასკნელ ხანებში დაპატიმრა მენშევიკების ცეკას ორ გამოჩენილი წევრი—ნოე ხომერიკი, სეით დევდარიანი და მთელი რიგი სხვა ცნობილ მენშევიკებისა. ნოე ხომერიკის გაჩხრეკის დროს, მას აღმოაჩნდა მრავალი მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანი დოკუმენტები, უმთავრესად საქართველოს მენშევიკების ცეკას შიფრიანი მიწერ-მოწერა ცეკას საზღვარგარეთელ ბიუროსთან და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან. მიწერ-მოწერის ნაწილი უკვე წაკითხულია. გარჩეულია ნოე ხომერიკის წერილი „ფრანსუას“ ხელისმოწერით, რომელსაც ის უგზავნის ცეკას საზღვარ-გარეთელ ბიუროს. საკეთესო დამამტკიცებელად იმისა, რომ მენშევიკებს გაზრახული აქვთ ბანდიტის შედგენით მოახდინონ „შეიარაღებული აჯანყება“ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით, უნდა ჩ[illegible]

„დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“.

ეს წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდე საბჭოთა ხელისუფლების შესახებ ყალბ ინფორმაციიდან და მენშევიკურ ც. კ. ის მიერ შეთხზული ცნობებიდან შესდგება, სხვათაშორის, ამბობს, რომ საგანგებო კომისია აძლიერებს რეპრესიებს და საშინლათ აწამებს ტუსაღებს. ხომერიკი, მაგალითად, სწერს: „დაპატიმრებულ ს. დობორჟგინიძეს და ი. გიორგაძეს საგანგებო კომისია საშინლათ აწამებს, რის გამო მათ სიმშილობა გამოაცხადეს. საერთოთ, საგანგებო კომისია ძლიერ ღელავს და აძლიერებს წამებას. [illegible] შესახებ მე უკვე გწერდით და გამოგიგზავნეთ კიდეც რამოდენიმე დოკუმენტი“. „ზ. გიერი ჭკუიდანაც შეიშალა“, „მიიქცეთ ამ საშინელებაზე სოციალისტურ პრესის ყურადღება“, „თუ საჭიროთ და შესაძლებლათ სთვლით, სრული უფლება გაქვთ ჩვენი სახელითაც იმოქმედოთ“.

ყველამ იცის, რომ მენშევიკები თავის ავანტიურისტულ მუშაობისათვის ხელსაყრელ დასავლეთ-ევროპის საზოგადოებრივ აზრის მომზადებისათვის არ ჩერდებიან სიცრუის და ყალბ „ცნობების და საბუთების“ ფაბრიკაციის წინაშე.

ამ-მათ შიფრიანი მახალა ირჩევა, სწარმოებს მთელი მასალის გამოძიება და უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში ავანტიურისტები შესაფერ სასჯელს მიიღებენ.

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა საღარაჯოზე მდგომი საქართველოს საგანგებო კომისია არ შეიწყნარებს, რომ ამა თუ იმ კონტრ-რევოლიუციონურმა ჯგუფმა ხელი შეუშალოს საქართველოს მშრომელ მასებს მშვიდობიან შემოქმედებითი მუშაობას.

ყოველივე ცდა ამ მიმართულებით, ვინც არ უნდა ახდენდეს მას, შეუბრალებლათ და ძირიან-ფესვიანათ იქნება აღმოფხვრილი. **მ ხ.**

საბჭოთა ბელადი

(„ზაკრიოტა“-ს ცნობები).

რეიხსტაგმა შტრეზემანს ხმების დიდი უმრავლესობით უნდოგლობა გამოუცხადა. შტრეზემანის მთავრობა გაწყდა. ახალი მთავრობა ჯერ არ შემდგარა.

სილეზიაში ჩაბარდნილი გერმანია: შტრეზემანმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ გერმანიამ სილატაკის და გაჭირვების წერტილს მიაღწიოთ.

„ბანსაკუთრებული კანონები“ კომპარტიისათვის: გენერალმა სეტტმა „დაშლილად“ გამოაცხადა გერმანიის კომპარტია და ბისმარკისებური „განსაკუთრებული კანონები“ შემოიღო კომუნისტების მიმართ.

მთელ გერმანიაში დაიწყო კომუნისტების დატუსაღება. დახურულია კომუნისტური ჟურნალ-გაზეთები.

გენერალ სეტტის ბრძანებით, კომპარტიის ყოველგვარი ქონება გამოცხადებულია სახელმწიფო კუთვნილებათ.

შტრეზემანის სიტყვა რეიხსტაგში

რა პირობებში ლაპარაკობდა.

ბერლინი. 23 ნოემბ. დღეს შტრეზემანმა სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგის სხომაზე. რეიხსტაგის შენობას იცავდენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რათა სხდომის დარბაზში ვერ შესულიყვნენ 20 სხდომაზე გამორიცხული კომუნისტი რეპელე და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგაციები. რეპელემ მოინდომა სხდომის დარბაზში შესვლა, მაგრამ ვერ შესძლო.

ახალი ოტხტრუქცია.

მიუხედავათ რეიხსტაგის თავმჯდომარის ლებეს მუქარისა, ოხსტრუქციისათვის სასტიკი ზომების მიღების შესახებ, ტრიბუნაზე შტრეზემანის გამოჩენის დროს ასტყდა ძლიერი ხმაურობა კომუნისტებისა და მემარჯვენეების სკამებზე. კომუნისტებს—გელეინს, გელცანს და ტომასს მოუწოდეს წესიერებისაკენ. ლედებურს მიეცა გაფრთხილება. მხოლოდ ამის შემდეგ დადგა ნაწილობრივი სიწყნარე და შტრეზემანმა შესძლო სიტყვის დაწყება.

ბერლინია სისხლიდან იცლება

საპასუხოთ სოციალ-დემოკრატების, კომუნისტების და ნაციონალისტების მტკიცებისა, რომ მთავრობა გაურბის ნდობის საკითხის გადაწყვეტას, შტრეზემანმა განაცხადა, რომ მთავრობა, პირიქით, დაინტერესებულია ამ საკითხის საჩქაროთ გადაჭრით. მას არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, რომ მთავრობას განზრახული აქვს დაუყოვნებლივ დასვას ნდობის საკითხი. წინანდელ სხდომაზე გამოსულ ორატორების საპასუხოოდ, შტრეზემანი აღიარებს, რომ გერმანიის შინაური მდგომარეობა არ არის უიმედო. გერმანია—თვალსაჩინო ჩრილობაა ევროპის სხეულზე და უეჭველათ ის სისხლისაგან დაიცლება, თუ არ იქნება გადაჭრილი სარეპარაციო საკითხი.

ვის უხდიან მადლობას.

შტრეზემანი მადლობას უცხადებს უცხოეთის მთავრობებს, რომლებიც გამოეხმაურენ გერმანიის მოწოდებას. ამ განცხადებას პარლამენტის უმრავლესობის სკამებიდან ხვდებიან „ვაშას“ ძახილით კომუნისტების სკამებიდან მოისმის ხმები: „უსირცხვილო კამპანია“. კომუნისტი კენენი მოგონებს: „ჩვენ დაგვავიწყდა რუსეთის დახმარება პურით“.

გერმანიის ბედი.

რურის ოლქში შექმნილი უმუშევრობის შესახებ შტრეზემანი აღნიშნავს, რომ გერმანიამ ვერ შესძლო შეთანხმების მიღწევა საფრანგეთთან. გერმანიის მთავრობას არ შეუძლია ლეგალიზაცია უყოს თავისი ხელის მოწერით დაკავებულ ოლქების მითვისებას და მიიღოს საფრანგეთის მოთხოვნილება ნახშირის მიწოდების ოკუპაციისათვის გაწეულ ხარჯების ანგარიშში გადაიანცხვის შესახებ ნაცვლათ იმისა, რომ ეს ნახშირი ჩაითვალოს სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში. ხაზს უსვამს რა დაკავებულ ოლქებისათვის გერმანიის მიერ ფინანსების მოწოდების შეეძლებლობას, შტრეზემანი აცხადებს, რომ ამაში მდგომარეობს საბაბი ვერსალის ხელშეკრულების დარღვევისათვის. მაგრამ ამაში დამნაშავეა არა გერმანიის მთავრობა, არამედ საფრანგეთი და მისი მოკავშირეები, რომლებიც ცდილობენ მოსპონ ის მცირე უფლებებიც, რომლებიც მიეცა გერმანიას საზავო ხელშეკრულებით. თუ გერმანიას არ შეუძლია, ფინანსიური დაბრკოლებების გამო, განაგრძოს ფინანსების მიწოდება დაკავებულ ოლქებისათვის, მას შეუძლია შეასრულოს ვალდებულებანი საფრანგეთის მიმართ. მაგრამ ეს არ ნიშნავს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხაზის მარჯვნივ გადახრას.

საოციალ დემოკრატების ოპოზიციაზე.

შტრეზემანს მოჰყავს ილიუსტრაციები სოციალ დემოკრატების დოგმატიური ხერხებიდან, რაც სიცილს იწვევს ზოგიერთებში; სოციალ-დემოკრატები პრესაში სასტიკათ აკრიტიკებენ მთავრობის პოზიციას რეიხის და რურის საკითხებში, ხოლო ამავე დროს, პრუსიის კაბინეტის მეთაურის ბრაუნის სახით სავსებით ეხარა[illegible] ... სიმპერიო მთავრობა. სიმპერიო მთავრობის მოლაპარაკების შეწყვეტა საფრანგეთთან, შტრეზემანის აზრით, არ იქონიებს გავლენას დაკავებულ ოლქების მცხოვრებლებზე. მთავრობისათვის მიუღწეველ მოლაპარაკებას გახანგრძლივ დაკავებულ ოლქების მოსახლეობის კეთილი.

ბავარიის ამბების შესახებ.

ბავარიის ამბების შესახებ შტრეზემანი აღნიშნავს, რომ ...

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში წინ მიტანით	1 მ.	50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — —	1 მ.	60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის	1 მ.	20 კ.

„ჩირაღდანი“

დიკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“, რომელიც დაუბრკოლებლად ხელის მოწერილებს უფასოთ.

ქურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიურათ ყველასათვის — —	30	კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — —	15	კ.

ორშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია

ს. ძ. პ. ტფილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრება

რომელზედაც ამხ. **მამია ორახელაშვილი** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

„საქართველოს რესპუბლიკების ცენტ. აღმ. კომიტეტის მესამე სესია.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმში მომუშავე კომუნისტები თავისუფლდებიან პარტიულ კრებაზე დასწრებისაგან.

მდივანი **რუხენი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა

ა. წ. ნოემბრის 12-ის სხდომაზე, თანახმად ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2-ე თავის მე-2-ე კარის მე-5 მუხლისა დადგენა: 1924 წლის იანვრის 6 ქ. ტფილისში

მოწვეულ იქნეს ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა მეორე ყრილობა.

ყრილობისათვის მიღებულ იქნეს შემდეგი დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის ანგარიში; 2) ამიერ-კავკასიის ხალეფრნეო მდგომარეობა; 3) ამიერ-კავკასიისის ფინანსები; 4) საკითხი ხაძოგარსა შესახებ ამიერ-კავკასიაში; 5) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები; 6) არჩევნები საერთო-საკავშირო საბჭოთა ყრილობისათვის და 7) მიმდინარე საკითხები.

არჩევნები დელეგატებისა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2-ე თავის მე-2-ე კარის მე-6 მუხლის საფუძველთა უცილობლად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ[illegible]**

მთავრობამ ვერ გამოიჩინა საკმაო ავტორიტეტი. **კნიდანგი დაუკავშირდა უპასუხისმგებლო ორგანიზაციებს.** საიმპერიო მთავრობა ფიქრობს, რომ ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ საჭირო იყო შეუბრალებლათ გალაშქრება. შტრეზემანი ირწმუნება, რომ 9 ნოემბრისათვის მას ბრძოლისათვის ჰყავდა გამზადებული რეიხსვერი. კარს რომ ვერ დაეძლია ჰიტლეროველები, მათ წინააღმდეგ წყვიდოდა რეიხსვერი.

ბერლინის „ბანზრაბოტი“.

მთავრობას განიზრახვა აქვს ანგარიში გაუწიოს ცალკე სახელმწიფოთა და, კერძოთ, ბავარიის მისწრაფებას ავტონომიის გაფართოებისაკენ. ბავარიის სახალხო პარტიის მიერ წამოყენებულ წინადადებას ბავარიელ მოსახლეობა ეჭვით ეკიდება. ბავარიის ეროვნულ ფაშისტებს ეშინიათ, ბავარიის ავტონომიის გაფართოებამ ბერლინის ხელისუფლებას ბავარიაზე ბატონობა ადვილად ვერ ... ...

გერმანიის დამეუულ გავეეგისათვის

ყველა მუშა-ქალებს, მუშების ცოლებს, გლეხ-ქალებს და ყველა მშრომელებს

ძვირფასო ამხანაგებო! გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის განთიადმა შეაჩოჩქოლა მთელი მსოფლიო.

თანაგრძნობა, სურვილი გერმანიის პროლეტარიატის დახმარებისა მის ბრძოლაში, მსოფლიო პროლეტარიატის მხრივ, აი რა ახლავს თან დაწყებულ პროლეტარულ რევოლიუციას. მუშათა მასების სასტიკ ტანჯვებსა და გაჭირვებაში, სიმშილსა-ცივსა, დახვრეტასა, ციხეებსა და ფამეებაში ვითარდება გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც აკაკებს გერმანიის მუშას და ფყენებს მას ამოცანას: ან გამარჯვება სამშობლოს თეთრგვარდიელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში, ან სიკვდილი მძიმე ფაშისტურ ჩექმის ქვეშ მონობაში.

დადგა დრო, როცა გერმანელი მუშა-ქალები და მუშები აღარაფერს დაჰკარგავენ გარდა მონობის, სიმშილის დაუსრულებელ ტანჯვის ბორკილებისა.

მაგრამ ჩვენ ყურადღებას, მთელი მსოფლიოს შეგნებულ პროლეტარების ყურადღებას იპყრობს არა მარტო ეს ბრძოლა. გერმანიის პროლეტარიატი ემზადება საბრძოლველად, ამ ბრძოლაში ის გაიმარჯვებს საერთაშორისო პროლეტარიატის თანაგრძნობით და აქტიურ დახმარებით.

ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში გერმანიის მუშამ და მუშა-ქალმა უნდა იცოდეს, რომ მათ ოჯახზე და მათ დამშეულ შვილებზე ვიღაც ზრუნავს, ვიღაც ფიქრობს.

ვოლგის გუბერნიებში და უკრაინაში საშინელ სიმშილობის დროს, ჩვენ მოწოდებას დახმარების შესახებ პირველად გამოეხმაურენ გერმანიის მუშები და მუშა-ქალები.

ეხლა დადგა დრო, როცა ასწ�უნდა დაუბრუნოთ მიღებული დახმარება. დღეს, ჩვენ გვახსოვს რა დახმარება წარსულში, გვახსოვს რა პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესები, უნდა დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს და ვიზრუნოთ მის ბავშვებზე, რომლებიც იღუპენ ბიან სიცივისა, სიმშილისა და ავადმყოფობისაგან.

არც ერთმა მუშამ, გლეხმა, მუშა-ქალმა, მშრომელმა დედამ გულგრილად არ უნდა უყუროს გერმანიის მშრომელების მილიონიან ტანჯულ ბავშვების სიმშილს.

ჩვენ ვიცით, რომ თვითონ დამშეულები ვიყავით, მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ მთლიან მუშათა ოჯახზე მოვლენილ უბედურების დროს ყველაზე ღარიბი მუშა ქალი, მუშა და გლეხი მას უფრო მეტ დახმარებას უწევს, ვიდრე მდიდრები, რომელნიც დახმარებას უწევენ მუშათა მასების ხარჯზე.

ჩვენ მოუწოდებთ ყველას დაუყოვნებლივ შეუდგენ გერმანელ მშრომელთა ბავშვების დახმარების საქმეს.

„გერმანიის მუშების და მოხამსახურეების ბავშვების დახმარების ლიგაში“ თქვენ შედიხართ წევრებათ. დაუმტკიცეთ გერმანიის პროლეტარიატს, რომ ის მარტო არ არის მომავალ სასტიკ შეტაკებაში კაპიტალთან და რომ არსებობს მთლიანი პროლეტარული ოჯახი, რომელიც უკანასკნელ პურის ნატეხს უნაიარებს თავის ტანჯულ ამხანაგებს. დადგა დრო, როცა უნდა დავამტკიცოთ ვისთვის არის მართლაც, ძვირფასი საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება. შეუდექით საქმეს ქ. ტფილისის მუშავ, მუშა-ქალო და მშრომელებო!

შეუდექით დიად მუშაობას გერმანიის მშრომელთა დაღუპვის პირას მიმდგარ ათასეულ ბავშვების დასახმარებლად!

დეე, იარსებოს და განმტკიცდეს საერთაშორისო ამხანაგური სოლიდარობა!

დეე, იცოდეს გერმანიის **მუშამ და მუშა-ქალმა,** რომ მათზე ზრუნვას კისრულობენ საბჭოთა კავშირის მშრომელები, რომლებმაც ოქტომბრის დიად დღეებში ჩამოიგდეს კისრიდან ბურჟუაზიის უღელი.

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ“ ᲮᲐᲠᲒᲐᲜᲔᲖᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ.

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ“

1923 წ. 8 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებასთან დაარსდა „გერმანიის მუშების ბავშვთა დახმარების ლიგა“. ყველა წარმოებებში ეწყობა შემოწირულობათა შემკრები იაჩიკები და სწარმოების „ლიგის“ წევრთა ჩაწერა. თვიური გადასახადია—5 კაპეიკი ჩერვ. იცემა ხელის მოსაწერი შემოწირულების ფურცლები.

„გერმანიის მუშების ბავშვთა დახმარების ლიგის“ საორგანიზაციო ბიურო წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს შემოიტანონ შემოწირულებანი და გამოიწვიონ გაზეთებში სხვა ამხანაგებიც წარმოებებში ყველა შეკრებილი შემოწირულებანი გამოგზავნონ „გერმანიის მუშების ბავშვთა დახმარების ლიგის“ საორგანიზაციო ბიუროში—საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებასთან, ყოველ დღე დილის 10 სათიდან 2 საათამდე.

წინადადება ეძლევათ წარმოებებს, სკოლებს, არმიას, პროფკავშირებს გამოჰყონ თავისი წარმომადგენლები და გაგზავნონ თათბირზე ლიგის საორგანიზაციო ბიუროში—საქ. კომპარტიის ტ. კ. ქალთა განყოფილებაში სამშაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს **5 საათზე.**

„გერმანიის მუშების ბავშვთა დახმარების“ ფონდში შემოვიდა შემოწირულებანი:

1	სტამბიდან	16,000,000 მან.
3	„	148,000,000 „
4	„	101,000,000 „

ცეცხლის მქრობელთა დიასახლისისაგან—11,500,000 მან.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მოსამსახურ. 99,050,000 მ.

ქალთაშორის ორგანიზატორისაგან—26,000,000 მან.

დიასახლის ნემცევასაგან—11 მილ. მანეთი.

კოლოფის დამმზადებელ ფაბრიკიდან—120,000,000 მან.

ფაბრიკა „პროლეტარი“ საგან—97,600,000 მან.

შახპარონიანის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა და ავადმყოფებისაგან—25,000,000 მან.

სხვადასხვა ამხანაგებისაგან—12 მილიონი მან.

ს ულ 667,250,000 მანეთი.

14 ოქტომბერს გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა 216 მან. და 88 კაპ. ჩერვონეცით.

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲝᲜᲣᲠᲑᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲮᲠᲐ

გასული ხაფხულის დასაწყისში მთელ მაზრაში გაუქმებული იქნა თემკომები და დაარსდა რვა სარაიონო ერთიული, რაიკომით და პასუხისმგებელი მდივნით.

რაიონებში დანიშნულია ხელმძღვანელად ძველი გამოცდილი პარტმუშაკები. ამის შემდეგ როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობის საქმე უფრო გაცხოველდა, რაიკომების საშვალებით სამეზრო კომიტეტს გაუადვილდა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასასთან დაახლოვება და მათზე ხელმძღვანელობის გაწევა. თვით რაიონებში და თემებში პარტიული მუშაობა უფრო ამაღლდა, ვიდრე თემკომების დროს იყო.

20 ოქტომბერს ოზურგეთში შესდგა სამეზრო პარტ-კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ერთსულოვნათ და ნაყოფიერად.

პარტიული ამხანაგების პოლიტიკური ცოდნის გამოცდები უკვე დამთავრდა, რამაც გვიჩვენა, რომ 60 პროც. ამხანაგებისა პოლიტიკურად მოუმზადებელნი არიან.

ოქტომბერში ჩატარდა ინვალიდების დახმარების კვირეული კარგი შედეგებით.

გერმანიის პროლეტარიატის დახმარების მიზნით შესდგა შემოწირულებათა ამკრეფი კომისია და აგრეთვე დაეკვალა ყველა პარტიულ ამხანაგებს ძვირფას განძეულობათა შეწირვა.

ქალთა შორის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. ზოგიერთ თემებში დაარსდა ქალთა წრეები. აქ არის წერა-კითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც 50 ქალმა უკვე შეისწავლა წერა-კითხვა.

ახალგაზრდათა კომკავშირს ჰყავს 1700 წევრი. მას ხელმძღვანელობს სამეზრო კომიტეტი. კომკავშირი თანდათან მატულობს და როგორც გლეხებში, ისე ახალგაზრდათა შორის სარგებლობს კარგი სიმპატიით.

Გ. ᲙᲝ—ᲫᲔ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲚᲝᲕᲔᲗ ᲥᲐᲚᲐᲨᲘ

ტფილისის დამზღვევ კასაში და შრომის ბირჟაში დღემდე კომუჯრედი არ არსებობდი. ამის მიზეზი იყო კომუნისტების მცირერიცხოვანობა.

ვინაიდან ახლა კომუნისტები 15-16 კაცს აღემატებიან, კომუჯრედიც იქნა ჩამოყალიბებული, 16 ნოემბერს. კრებას დაესწრო 2 რაიკომის წარმომადგენელი ამხ. მაშკევიჩი, რომელმაც მოკლეთ და მკაფიოთ გააცნო ამხანაგებს მნიშვნელობა და აუცილებლობა კომუჯრედისა. შემდეგ არჩეულ იქნა უჯრედის დროებითი Ბ | მგ. მდივნად ამხ. თარხანოვი და ბიუროში ამხ. არჩვაძე და კაჩხოვი; შეფკომისიაში: აბესალაშვილი და მაშკევიჩი, რაიკომში მუ ᲛᲘᲗ დელეგატებთ არუთინოვი და კოპლატაძე.

დამზღვევ კასის და შრომის ბირჟის მეორე სხდომა გაიმართა 23 ნოემბერს. დღის წესრიგში: კასის ადგილკომის მოხსენება, შემფასკომის მოხსენება, მუშკორების არჩევა და მიმდინარე კითხვები. მოხსენებას აკეთებს ადგილკომის Ბ | მგ. მდივანი ამხ. თვალთვაძე, რომელიც მიუთითებს ადგილკომის მუშაობის რამდენიმე შეცდომებზე, რის მიზეზი იყო პროფმუშაკების არ ყოფა. უჯრედმა თავის რეზოლიუციაში საერთოდ დამაკმაყოფილებლათ სცნო ადგილკომის და შემფასებელ კომისიის მუშაობა და უსურვა მომავალ ადგილკომს, რომლის არჩევნები უნდა მოხდეს ამ რამოდენიშე დღეში, ენერგიული მუშაობა. შემდეგ არჩეულ იქნენ ქართულ-რუსულ გაზეთების მუშკორები—მაშკევიჩი და კოპლატაძე.

მომდინარე საკითხებში გარჩეულ იქნა სხვადასხვა განცხადებები, რის შემდეგ სხდომა დაიხურა.

დ. კოპლატაძე.

ᲛᲬᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐ № 45

Ს. Ს. Ს. Რ. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲚᲔᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ

24 ნოემბერი 1923 წ.

ნოემბრის თვეში შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის შესახებ.

1. ს. ს. ს. რ. ტერიტორია ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით დაიყოს ორ სატარიფო ზოლად: 1-ლ ზოლს (100) მიეკუთვნოს ქალაქები—ტფილისი, ბათომი (აჭარისტანი), სოხუმი (აფხაზეთი), ფოთი, ბორჯომი, ტყიბული და მაზრები: რაჭის და ლეჩხუმისა, მე-2-ე ზოლს (90 პროც.) მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. დაწესდეს ნოემბრის თვეში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისთვის შრომის ხელფასის მინიმუმი 1-ლ ზოლისათვის—5 მ. 20 კ. (ხუთი მანეთი და ოცი კაპ. ჩერ.), მეორე ზოლისათვის 4 მ. 68 კ.) ოთხი მანეთი და სამოცდა რვა კაპ.) ცხრილში შეფარდება წესდება 1: 5-თან.

3. ამა დადგენილების მე-2-ე მუხლში დაწესებული განაკვეთები ნორმალურ სამუშაო დროისათვის წარმოადგენს თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებებს.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **მიქაძე.**

საერთო საორგან. განყ. ვამგე: **ლ. ᲥᲣᲠᲓᲦᲕᲐᲜᲘᲫᲔ.**

დამატება სატარიფო ცხრილი შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმისა. (ჩერვონ. მანეთებში)

ხარისხი	1-ლი ზოლი	მე-2 ზოლი
1	5.20	4.68
2	6.24	5.62
3	7.28	6.55
4	8.32	7.49
5	9.36	8.42
6	10.40	9.36
7	11.44	10.30
8	12.48	11.23
9	14.04	12.64
10	15.60	14.04
11	16.64	14.98
12	18.20	16.38
13	19.24	17.32
14	20.80	18.72
15	22.36	20.12
16	23.92	21.53
17	26	23 40

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **მიქაძე.**

საერთო საორგან. განყ გამგე **ლ. ᲥᲣᲠᲓᲦᲕᲐᲜᲘᲫᲔ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ

ᲒᲔᲚᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

დღეს, ნაძალადევის კლუბში აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლო არჩევს გელენიძის საქმეს; უკანასკნელს ბრალათ ედება 16 წლის ქალიშვილის მარია სულიკაშვილის ტფილისიდან გატაცება და მისი მიყიდვა სად. განჯაში მედუქნეებისათვის, საზიზღარი ეესპლოატაციის მიზნით.

სასამართლოში შედიან: ამხ. შომახია, პროკურორი—ამხ. ჩხიკვაძე—სვირსკი, დამცველი—ამხ. აივაზოვი.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲗᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ქიმიური ნაწარმოები. შაქარი რაფინადი და ფხვნილი რუს. ბერტოლეტის მარილი. რუს. მანუფაქტურა. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს. ტყავის ღვედები.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘᲐᲜᲘ

რუს. მანუფაქტ. „გლავხოპკომ“-ის უკანასკნელ პრეისკურანტის ფასებში. 2 პროც. დაკლებით.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ᲑᲘᲠᲯᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘ ᲑᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘᲐᲜᲘ

21 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 5 გარიგება, სულ 18724 ჩერ. მან. თანხისა.

ᲕᲐᲚᲔᲣᲢᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ.

ჩერვონეცების და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსმა დაწევა დაიწყო.

ᲩᲔᲠᲕᲝᲜᲔᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1	კ.— 155.000,	60 კ.—	9.300.000
2	„— 310.000,	70 „—	10.850 000
3	„— 465.000,	80 „—	12.400.000
4	„— 620.000,	90 „—	13 950.000
5	„— 775.000,	1 მ.—	15.500 000
6	„— 930.000,	2 „—	31.000.000
7	„—1.085.000,	3 „—	46 500.000
8	„—1.240.000,	4 „—	62.000.000
9	„—1.395 000,	5 „—	77.500.000
10	„—1.550.000,	6 „—	93 000 000
20	„—3 100 000,	7 „—	108.500 000
30	„—4 650.000,	8 „—	124.000 000
40	„—6 200.000,	9 „—	139.500.000
50	„—7.750.000,	1 ჩერ.—	155 მილ.

ᲞᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐ № 45

Ს. Ს. Ს. Რ. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲚᲔᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ

24 ნოემბერი 1923 წ.

ნოემბრის თვეში შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის შესახებ.

1. ს. ს. ს. რ. ტერიტორია ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით დაიყოს ორ სატარიფო ზოლად: 1-ლ ზოლს (100) მიეკუთვნოს ქალაქები—ტფილისი, ბათომი (აჭარისტანი), სოხუმი (აფხაზეთი), ფოთი, ბორჯომი, ტყიბული და მაზრები: რაჭის და ლეჩხუმისა, მე-2-ე ზოლს (90 პროც.) მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. დაწესდეს ნოემბრის თვეში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისთვის შრომის ხელფასის მინიმუმი 1-ლ ზოლისათვის—5 მ. 20 კ. (ხუთი მანეთი და ოცი კაპ. ჩერ.), მეორე ზოლისათვის 4 მ. 68 კ.) ოთხი მანეთი და სამოცდა რვა კაპ.) ცხრილში შეფარდება წესდება 1: 5-თან.

3. ამა დადგენილების მე-2-ე მუხლში დაწესებული განაკვეთები ნორმალურ სამუშაო დროისათვის წარმოადგენს თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებებს.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **მიქაძე.**

საერთო საორგან. განყ. ვამგე: **ლ. ᲥᲣᲠᲓᲦᲕᲐᲜᲘᲫᲔ.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ

ᲒᲔᲚᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

დღეს, ნაძალადევის კლუბში აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლო არჩევს გელენიძის საქმეს; უკანასკნელს ბრალათ ედება 16 წლის ქალიშვილის მარია სულიკაშვილის ტფილისიდან გატაცება და მისი მიყიდვა სად. განჯაში მედუქნეებისათვის, საზიზღარი ეესპლოატაციის მიზნით.

სასამართლოში შედიან: ამხ. შომახია, პროკურორი—ამხ. ჩხიკვაძე—სვირსკი, დამცველი—ამხ. აივაზოვი.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲗᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ქიმიური ნაწარმოები. შაქარი რაფინადი და ფხვნილი რუს. ბერტოლეტის მარილი. რუს. მანუფაქტურა. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს. ტყავის ღვედები.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘᲐᲜᲘ

რუს. მანუფაქტ. „გლავხოპკომ“-ის უკანასკნელ პრეისკურანტის ფასებში. 2 პროც. დაკლებით.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ᲑᲘᲠᲯᲘᲡ ᲑᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘ ᲑᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘᲐᲜᲘ

21 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 5 გარიგება, სულ 18724 ჩერ. მან. თანხისა.

ᲕᲐᲚᲔᲣᲢᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ.

ჩერვონეცების და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსმა დაწევა დაიწყო.

ᲩᲔᲠᲕᲝᲜᲔᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1	კ.— 155 000,	60 კ.—	9.300.000
2	„— 310.000,	70 „—	10.850 000
3	„— 465.000,	80 „—	12.400.000
4	„— 620.000,	90 „—	13 950.000
5	„— 775.000,	1 მ.—	15.500 000
6	„— 930.000,	2 „—	31.000.000
7	„—1.085.000,	3 „—	46 500.000
8	„—1.240 000,	4 „—	62.000.000
9	„—1.395 000,	5 „—	77.500.000
10	„—1.550.000,	6 „—	93 000 000
20	„—3 100 000,	7 „—	108.500 000
30	„—4 650.000,	8 „—	124.000 000
40	„—6 200.000,	9 „—	139.500.000
50	„—7.750.000,	1 ჩერ.—	155 მილ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— **ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.** დღეს, საღამოს 6 საათზე ნავთლუღის ხადგურზე მოსკოვიდან გადმოცემული იქნება რადიო-კონცერტი.

— **მიწა-ტყის მუშაკთა მუშაობის შრომის ინსპექტორი.** შრ. სახ. კომისარიატში მიწა ტყის კავშირის მომართვის თანახმად, დაადგინა შეშოლეტული იქნეს მიწა-ტყის მუშაკთა შრომის ინსპექტორის თანამდებობა.

— **ᲮᲐᲮᲐᲠᲮᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲡᲮᲘᲡᲘ.** ამირკავკასიის სახ. კომისარიატის ცნობით, 20 ნოემბრისათვის მთელ საქართველოში სასურსათო გადასახადიდან აკრეფილია 921.627 ხორბლის ერთეული.

— **ᲣᲛᲣᲨᲕᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲫᲘᲠᲐᲝᲑᲐ 7 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.** ახლო ხანში გამოვა წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მასალები საქართველოში შვიდი წლის (1917—1923 წლამდე) განმავლობაში უმუშევართა მოძრაობის შესახებ.

— **ᲛᲔᲜᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.** ᲛᲔ | Კ. სიგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა: დაუწყოს ფასები ფხვნილ შაქარზე. შაქარი კოოპერატივებს მიეცემათ ფუთი 11 მან. და 20 კ. ჩერვონეცით, კერძო პირებს კი 11 მ. და 50 კ.

— **ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.** შრ. სახ. კოლეგიამ დაადგინა, ის წარმოება-დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ ზედმეტ მუშაობას შრომის ინსპექტორის ნებართვის გარეშე, სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში იქნენ მიეცემულნი, როგორც შრომის დაცვის კანონების დარღვევისა, ისე სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის, მუშა-მოსამსახურეთ კი მიეცეთ ზედმეტი ნამუშევარი.

— **მუშათა დახასვენებელი სახლებისა და მოზარდთა სახლის სახარგებლოთ.** შრომის დაცვის განყოფილებას დაეგზავნა შეიმუშაოს დადგენილების პროექტი, რათა შრომის კანონების დარღვევისათვის აღებულ ჯარიმათა მთელი თანხა გადადებული იქნეს მუშათა დასასვენებელი სახლებისა და მოზარდ უმუშევართა სახლის შესანახ ფონდის გასაძლიერებლათ.

— **ᲮᲐᲑᲭᲝᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ.** ტფილისის საბჭოში თელეთიდან არჩეულნი იქნენ ოთხი დელეგატი: ცომაია ივანე (კომუნისტი), ლომინაძე (კომ.), ბუდალოვი გიორგ (კომ.) და ბუდა მაშადი ალი ოღლი (კომ.) და ბუდა მაშადი ალი ოღლი (კომ); კანდიდატებათ: სუქინოვი არუთინი და ედიბერიძე (უპარტიო).

— **ᲮᲝᲪ. ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა სოც. დაზღვევის სამმართველოს კოლეგიის წევრებათ შემდეგი ამხანაგები: მიქაძე, ცომაია, ჯავაირა ხუტულაშვილი, ელბაქიანი და ვაშაძე.

— **ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ.** ქ. აღმასკომმა დაადგინა—სტუდენტთა სასადილო გადატანილი იქნეს ახალ ბინაზე (რუსთაველის პრ. პატარა თეატრის ქვეშ „კაზინოს“ შენობაში); ხოლო ამავე სტუდენტთა კოოპერატივი მოთავსებული იქნეს რუსთ. პრ. ყოფ. საბჭოთა საპარიკმახეროს დარბაზში.

— **უფასოდ გადასვლა ხორანზე.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: ტფილისის მთავარ სახელოსნოს ავლაბარში მიეცეს მოწმობა ელენე ბერაძისა ხორანზე უფასოდ გადასაყვანად.

— **ᲡᲐᲛᲝᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲠᲝᲚᲐ.** ორშაბათს, 26 ნოემბერს, ტფილისში მყოფი გარნიზონები მოახდენენ ავლაბრიდან 5—6 ვერსის დაშორებით სამოსწავლო სროლას.

— **ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** გურიაში სოფელ ხვარბეთში გლეხობამ სასოფლო საზოგადო ყრილობაზე მიღებული დადგენილებით საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტის ფონდში შეიტანა 500 ფ. სამინდი, 48 ფუთი თხილი, 5 ფუთი ჩაი, 10 ფუთი ვაშლი და 13 მან. (ოქროთი), ჩოხატაურში ორი მილიარდი მანათი, სურეშში 400 ფუთი სამინდი, ხიდისთავში 2 მილიარდი მანეთი, ოზურგეთში 500 ფუთი სამინდი, სიგნახში 400 ფუთი სამინდი და შვიდასი მილიონი მანეთი.

— **ინვალიდების არტელების წარმომადგენლების ყრილობა.** დღეს, 25 ნოემბერს, ტფილისში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკაში მომქმედი ყველა ინვალიდების არტელების წარმომადგენლების ყრილობა.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 23 ნოემბერს შრომის შერიგზე არავინ გამოცხადებულა, ახლად ჩაეწერა—7 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა-32.

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ.

— **ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.** 22 ნოემბერს, დღის 2 საათზე, ციცინაშვილის აღმართზე საბარგო ავტომობილმა გასრესა 15 წლის ბავშვი მოკ. სერგო ჩიტაკიანები.

— **ᲙᲕᲠᲓᲛᲝᲑᲐ.** 22 ნოემბერს, დღის 3 საათზე, პასტერნოვის ქ. № 5, გაქურდეს მოკ. ლიდა მადაკინოვის ბინა, საიდანაც წაიღეს ნივთები რამდენიმე მილიარდის.

— **ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲝᲗᲐ ᲨᲔᲪᲧᲝᲑᲐ.** 21 ნოემბერს, შეიპყრეს ვარსენეკა ტრანსპოვა, ჰაიკანეშა და გიორგენ შეზარბეკოვები, რომელებსაც ბრალი ედებოდათ სხვა და სხვა ქურდობაში.

— **ᲑᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲢᲔᲮᲕᲐ.** 21 ნოემბერს, ალექსანდროვის პრ. № 187, გაქურდეს მოკ. არამ ბუნიატოვის ბინა. წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ᲨᲔᲪᲧᲝᲑᲐ.** 21 ნოემბერს შეიპყრეს ასტ ტოფჩიევი, ანდრანიკ მარკოიანები და პიაკანეშა ქირაჯიანცისა, მრავალ ქურდობათა ჩადენისათვის.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲐ

ეუფლოთ ცხოვრებას

საგზოზე ვირჩევთ მხოლოდ კომუნისტებს

ჩვენ არ ჩვენებზე სწორედ ვიმეჯელეთ
და შეავადარეთ წარსულს ახალი;
რა იყო წინედ, რა კეთდება დღეს,
მასზე უნდა ვსთქვათ სიტყვა მართალი.

ეს სინამდვილის სურათებია,
რასაც თვალ და თვალ უცქერით ჩვენა:
სკოლა, ქარხანა, სოფელ-ქალაქი,
აღშენებისკენ ისწრაფვის ყველა.

არხები, ქუჩა, გზა, ხიდეები
უკვე შენდება გაჩაღებული;
სწავლა და ცოდნა საკალდებულოდ,
არის მუშისთვის შემოღებული.

შრომის სუფევა, თავისუფლება
უზენაესად გაბრწყინვებული,
რასაც შესტრფოდა მშრომელი ხალხი,
ის მას უკვე აქვს დამკვიდრებული.

მტრები ამბობდნენ: „როგორ იქნება,
მუშამ საქვეყნო საქმე განაგოს,
მათ უვიცობის მეტი რა ესმით,
ან მათმა საქმემ რა უნდა გვარგოს!!“

მტრები დამარცხდნენ ყველა ფრონტებზე;
აღარ გამართლდა მათი იმედი;
ვაუნადგურდათ ბოროტ ზრახვები,
შეირყა მათი ცხოვრების ბედი.

მართალი არის, ბევრი გვაკლია,
სუსტია კიდევ მუშათა კერა,
მაგრამ რასაც ვქმნით, ის მტკიცე არის
და ამ სიმტკიცით ვამაყობთ ჩვენა.

და თუ კი ჩვენთვის ძვირფასი არის
მშრომელი ხალხის ხელისუფლება;
ჩვენ ხმები მივსცეთ კომუნისტებსა,
რომ განვამტკიცოთ მაშერაღთა ნება!..

მუშა ხიო ხიდისთაველი.

უმუშევართა სასადილოში

უფასო სადილების მიცემა დიდს დახმარებას წარმოადგენს დღეს გაჭირვებულ უმუშევართათვის, რომლის მნიშვნელობა თავის თავად ცხადია. შრომის სახალხო კომისარიატის—უმუშევართა სასადილო სწორედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღეს თავის არსებობით.

ამჟამად იქ სადილობს 500-დე უმუშევარი. სადილი ხარისხითაც კარგია. ის მზადდება კვირაში—5-ჯერ ხორცით და 2-ჯერ ლობიოთი—თითო კერძად და ერთ გრ. ნახევარი თეთრი პურით.

სასადილოს მოსამსახურენი მარჯვედ არიან. მხოლოდ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ ერთი, რომ მოსადილეთა შორის ურევია ისეთი პირები, რომელნიც ხშირად არღვევენ აქ წესიერებას და ხელს უშლიან თვით სასადილოს მოსამსახურეთ და მასთან პატიოსან მოსადილეებსაც.

ხელის შემშლელის და წესიერების დამრღვევთა როლში გამოდიან უმთავრესად ახალგაზრდები, რომელნიც სადილობენ აქ.

ამასთანავე აქ სადილობს რამდენიმე ყრუ-მუნჯიც. ისინი, გაღღება თუ არა სასადილო, მის დაკეტვამდის ხმაურობენ პურის საქმელ მაგიდაზე. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მოსადილეთათვის არ არის ხშირად საკმაო კოვზები და თეფშები, იმათ ეს დაკავებული აქვთ ხანგრძლივად, მთელი დღით. სასადილოს გამგე და დასახლისი ცდილობენ სამმეს ემსახურონ ერთგულად; მაგრამ, ის ფაქტი, რომ დასახელებულ დეფექტებს აქ ადგილი აქვს,—ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი საესებით ვერ ასრულებენ თავიანთი მოვალეობას, რათა სასადილო უფრო პირნათლად ემსახუროს თავის დანიშნულებას.

მუშკორი მ. ა.

სტამბა „კრასნი ვოინ“-ში

(შრომის ინსპექციის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

გიმნაზიის ქუჩაზე № 1-ში არის მოთავსებული სტამბა „წითელი მხედარი“. სტამბის მუშები მოწინავე მუშები არიან. მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ერთი რამ: მაგალითად, როგორ მოხდა ის. რომ ამდენ ხანს მუშებს არა აქვთ საანგარიშო წიგნაკები შეძენილი. აქ სულ 37 მუშა-მოსამსახურეა და თითქმის არც ერთ მათგანს არა აქვს საანგარიშო წიგნაკი.

ჩვენის აზრით, აქ დამნაშავეა სტამბის გამგე, ამხ. ვართანოვი.

ნუ თუ მას არა აქვს გათვალისწინებული ამ წიგნაკების მნიშვნელობა?. ამას გარდა ამ სტამბის მუშებს ჯერაც ვერ მიუღიათ სპეციტანისამოსები, სტამბაში კი ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამას ყველაფერს ითმენენ სტამბის მუშები, თუმცა ყველა კარგად გრძნობს ასეთ დანაკლისს.

სტამბის მუშები,—ეს მოწინავე ნაწილია ჩვენ მუშათა რიგებში.

სტამბის მუშებმა სხვებზე უკეთ უნდა იცოდენ რა არის საჭირო მათთვის და სამართლიან მოთხოვნილებას არ უნდა მიერიდონ.

საჭიროა ეს დიდი ნაკლი სასწრაფოდ გამოსწორებული იქნეს.

მუშკორი წითელი.

ადგილკომი ასეთი უნდა

თბილისის კომუნალური წყალსადენის მუშობა უთავრესად ხდება ორ ადგილას: ავჭალაში და თბილისში. პირველი ადგილიდან აწევდიან წყალს თბილისს და მეორე ადგილზე ხდება მისი დანაწილება და საშვალებების გამოძიებნა წყალსადენის წარმოებისთვის.

ამ მუშაობის მიხედვით ერთი ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისა (დაახლოებით 137 რიცხვამდე) არის ავჭალაში და მეორე ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისა დაახლოებით 140 რიცხვამდე) არის თბილისში.

როგორც თბილისის, ისე ავჭალის მუშა-მოსამსახურეებს ჰკავთ თავისი საკუთარი ადგილობრივი კომიტეტი.

ქალაქის წყალსადენის ადგილკომი თავის მოქმედებაში იჩენს დიდს ენერგიას და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ორი თვის წინ თუ ეს ადგილკომი თავის მოქმედებაში ცოტათ მოისუსტებდა, რაც აიხსნება ადგილკომის უსაღსრობის და სხვა და სხვა საპატიო მიზეზებით, ეს ორი თვეა ადგილკომი ახალი შემადგენლობით ძლიერ ენერგიულათ და ხალისით ასრულებს მუშა-მოსამსახურეთა დავალებებს. მათ შესძლეს და მოაწესრიგეს ჯამაგირების თავის დროზე დარიგების საქმე ქალაქის წყალსადენის ყველა დარგებში (კანტორა, სახელოსნო და რეზერვუარი). ჯამაგირები რიგდება თვეში ორჯერ, პირველ და შუა რიცხვებში, რაც დიდ შეღავათს აძლევს თანამშრომლებს.

ბაღის მთელი შემოსავლით თვითონ გამგე სარგებლობს.

ქალაშვილი-ლიზა კრიკანოვსკაისა, 22 წლისა,-კი მსახურებს რკინისგზაზე, საიდანაც ეძლევა უფასო რკინისგზის ბილეთი, რომელსაც ის არ აცდენს და აძლევს თავის დედას—ლიზა პრილიპკას, რომელიც შეუწყვეტლივ დადის კახეთში და ზიდავს სხვადასხვა სანოვაგეს სპეკულიანტური მიზნით. მასთან პრილიპკას ეზოში გახსნილი აქვს სავაჭროც, სადაც ის ვაჭრობს ზეთით, კარაქით, ღვინით, ყველით და სხვადასხვა სანოვაგით.

დღეს ყველამ იცის, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს სამსახურის შოვნა და როგორი ცუდია უმუშევრობა და ამ დროს კი არის ისეთი ხალხი სამუშაოზე, რომელიც სამსახურს ბოროტად იყენებს; სწორედ ასეთია ეს პრილიპკა.

პროფკავშირის წევრს არ ეპატიება ასეთი მოქმედებები. სპეკულიანტების ალაგი სხვაგან არის და არა სახელმწიფო დაწესებულებაში და პროფკავშირში.

სასურველია, ეს ფაქტი მიიღოს მხედველობაში რკინისგზის შტატის შემამცირებელმა კომისიამ და ასეთ პირობებს „სათანადო ანგარიშიც“ გაუწიოს.

მუშკორი გ.ა.

უმუშევართა სასადილოში

ნუ თუ ეს ბოროტ ზრახვებ ... ...